# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

# ოქმი №16

აბაშა, 2019 წლის 8 ოქტომბერი

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ
ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ
ᲝᲥᲛᲘ №16-ᲡᲐ

ᲐᲑᲐᲨᲐ, 2019 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

1. აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს: შ. დარცმელიძე

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ
ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ: Გ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

ოქმი №16

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 8 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ: მამუკა კვიტაშვილი, გელა ხოშტარია, ტატიანა ხოშტარია, ზაზა გაბელაია, გოდერძი კუპრავა, კონსტანტინე კუჭუხიძე, გია კუცია, შოთა ჭანტურაია, ბაქარი შელია, ბენია პიტავა, ზაზა ალასანია, ლეონტი ნადარეიშვილი, ბაჩუკი ქვილითაია, იაგო თოდუა, რევაზი ჩაჩავა, გია მიგინეიშვილი, ელვარდი ნოდია, გელა კაჭარავა, კოხტა მელია.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი შ. დარცმელიძე.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

## დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს: შ. დარცმელიძე

კენჭი ეყარა დღის წესრიგს. კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე 18
წინააღმდეგი 0

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს: შ. დარცმელიძე

მომხსენებელმა შ. დარცმელიძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი.

მომხსენებელს კითხვით მიმართა დეპუტატებმა: გ. ხოშტარიამ, ლ. ნადარეიშვილმა, ზ. ალასანიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გ. კუციამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

კენჭისყრას ესწრება საკრებულოს 19 წევრი
განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 19-მა წევრმა.
წინააღმდეგი: 0
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №52 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი